ტურ ჩანაფიქრთა თავმოყრით ამაღლებულ, მუშტივით შეკუმშულ ფინალს მოითხოვს.

თავისებურია დრამის ენაც. დრამაში გამორიცხულია ავტორის ენა, თავისუფლება ეძლევა გმირებს. მათი ხასიათიდან გამომდინარე დინამიურ და მოქმედების შემცველ კოლორიტულ დიალოგს.

აი, ის თავისებური წინააღმდეგობანი, რაც მე მხვდებოდა ჩემი მოთხრობის „მკვდრის მზის" გასცენიურების დროს.

ახალი ჟანრის თავისებურობამ მოითხოვა მეტი სიუჟეტური სიმკვეთრე, ამბის შეკუმშვა, ახალი პერსონაჟების შეყვანა მოქმედებაში, მოქმედების ადგილის მეტი კონკრეტულობა და ფინალის შეცვლა ზოგადი ამაღლებული ჰანგით...

იმის გამო, რომ ამბავში მოქმედებენ ძველი და ახალი დროის ადამიანები, პიესაშიც შეიქმნა ორი პირობითი სასცენო წრე: თანამედროვე გმირთა მოქმედების წრე და „წარსულის წრე", სადაც წარსულიდან გამოხმობილი პერსონაჟების მოქმედება წარმოებს.

ადვილი არ არის იმის თქმა, გაიმარჯვებს თუ არა ეს ცდა... ცდა კი არ დამიკლია, რომ ჩემი მოთხრობის გმირები მათთვის უცხო სცენური გარემოს მკვიდრნი გამხდარიყვნენ.

პიესა „მკვდრის მზე", მიუხედავად მთავარი გმირის ცხოვრების ტრაგიკული ფინალისა, ოპტიმისტურია და მისი მიზანია მაყურებლის გულში განამტკიცოს თანამედროვე ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების უძლეველობის რწმენა.



## 400 წლის შექსპირი

უდიდესი დრამატურგის შექსპირის დაბადების 400 წლისთავს დიდი ზეიმით აღნიშნავს კაცობრიობა.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა კინემატოგრაფისტები შეხვდებიან ორსერიანი ფილმით „ჰამლეტი". კინოსურათის სცენარზე 8 წელიწადს იმუშავა გ. მ. კოზინცევმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ი. სმოკტუნოვსკი, ა. ვერტინსკაია, ი. ტოლუბეევი, მ. ნაზვანოვი, ელზა რაძინ-შალკონისი. ფილმის გადაღებას აწარმოებს ლატველი ოპერატორი იონას გრიციუსი. მხატვრები — ე. ენეი და გ. კროპაჩევი. „ჰამლეტის" გმირთა კოსტუმები დამზადდა მხატვარ ს. ვირსალაძის ესკიზებით.

დიდი გამოცოცხლებაა ტალინ-კლოოგუს გზატკეცილთან, სადაც უძველესი ციხესიმაგრე აღმართეს. აქ გადაღებას აწარმოებს „ლენფილმის" 400 მუშაკი მთავარი რეჟისორის გრიგოლ კოზინცევის ხელმძღვანელობით. უკვე გადაღებულია ფილმის ორი-მესამედი. ნატურ-გადაღებანი დამთავრდება ოქტომბერში. ფილმი ეკრანზე გამოვა 1964 წლის იანვრის დამლევს.

## „დონის ტალღა"

მ. გორკის სახელობის როსტოვის დრამატული თეატრის კოლექტივის შემოქმედებაში ფართო ადგილი უკავია მშობლიური დონის მშრომელთა საქმიანობას.

თეატრმა უკვე განახორციელა რამდენიმე დადგმა ციკლიდან „დონის ტალღა". მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, ადამიანთა სულიერი სამყაროს ღრმა ანალიზით, ცხოვრებისეული სიმართლითაა გამსჭვალული თეატრის ყველა დადგმა. მაყურებლებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ ა. სუიჩმეზოვის პიესები „ადრე გაზაფხულზე" და „გრილი ნიავი", ა. სოფრონოვის „გაუფრთხილდით ცოცხალ ვაჟიშვილებს" და „გატეხილი ყამირი" (მ. შოლოხოვის ამავე სახელწოდების რომანის ინსცენირება).